ელბერდ ბატიაშვილი

ციკლიდან – ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრებიდან“

თბილისი

2015

ციკლიდან – ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრებიდან“:

ქიზიყი და ქიზიყელები

ამ ციკლის წინა მონოგრაფიებიდან განსხვავებით, სადაც აქცენტი აღებული იყო საერთო–ეროვნულ პრობლემებზე, აქ და შემდეგშიც მინდა ყურადღების ცენტრში დავაყენო საქართველოს ცალკეული რეგიონების პრობლემატიკა: მთელი ხომ, ნაწილების გარეშე არ არსებობს – ნებისმიერი ქვეყანა ცალკეული რეგიონებისგან შედგება და სწორედ მათ მთლიანობასა და დიალექტიკურ ურთიერთგაპირობებულებაშია გასააზრებული ქვეყნის საერთო სოციალურ–ეკონომიკური განვითარებაც. **„ოქროვანი ხანის“** ძლიერ ქართული სახელმწიფოს ფორმირებასაც ხომ, საქართველოს ცალკეული მხარეების კონსოლიდაციით ჩაეყარა საფუძველი.

„ქართლის ცხოვრება“ ამიტომ უწოდებს XI–XII საუკუნეების ბაგრატიონებს **„7 სამეფოთა მეფეს“**. მართალია დამცრობილად, მაგრამ ამერ–იმერის მთისა და ბარის ეს მხარეები დღესაც არსებობენ თავ–თავიანთი თავისებურებებით და ამიტომაც ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობამაც უნდა გაითვალისწინოს ეს. ძველი **„კამბეჩოვანი“,** ახლანდელი ქიზიყი ისტორიულად ქვეყნის უკიდურესი სამხრეთ–აღმოსავლეთის კარიბჭეს წარმოადგენდა და ამ ციკლსაც მისით დავიწყებ – მშობელი მხარის სიყვარული ხომ, კაცს სიკვდილამდე თან სდევს... მომავალში კი, საქართველოს სხვა მხარეებსაც მიეძღვნებათ ცალკე მონოგრაფიები. „ქართლის ცხოვრება“ მდიდარ მასალას გვაძლევს ყველა მათგანზე...

„ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეულში ივანე ჯავახიშვილი არაერთხელ ეხება ქვეყნის ცალკეული მხარეების დახასიათებას, მათ წვლილს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ მხრივ გამორჩეულად დგას III ტომი, სადაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაცემა–დაქუცმაცების ისტორიაა გადმოცემული XV–XVI საუკუნეებში. ესეც ფეოდალიზმის და მისი ნატურალური მეურნეობის თანხვედრი ისტორიული პროცესია. ეს პროცესი ყველა ერმა და ქვეყანამ გამოსცადა, მაგალითად, დღევანდელი გერმანია მაშინ 300 პოლიტიკურ ერთეულად იყო დაშლილი...

მაგრამ საქართველოს სინამდვილეში პროცესს დიდი ეროვნული უბედურებაც ახლდა თან: XIII საუკუნის 20–იანი წლებიდან ჯერ მონღოლების,

შემდეგ საუკუნეებში ახალი დამპყრობლების – ოსმალთა იმპერიისა და სპარსეთის სისტემატიური შემოსევები, რაც 1555 წელს მათ მიერ საქართველოს დაპყრობა–განაწილებით დამთავრდა: დასავლეთ საქართველოსა და მესხეთში ოსმალები გაბატონდნენ, ხოლო ქართლ–კახეთში სპარსელები. საოცარი ემოციური ძალით გადმოსცემს ამ ტრაგიზმს ილია სტატიაში – **„ოსმალოს საქართველო“**.

„ეგრეთ–მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნილს, ერთობისა და ქრისტიანობისთვის სისხლდანთხეულ საქართველოსა“.

შუა საუკუნეების ამ სისხლნთხევებში განსაკუთრებით ტრაგიკული ბედი საზღვრისპირა განაპირა მხარეებს ხვდა. მათგან იმ რეგიონებს, რომლებსაც კავკასიის მთების მიუვალი ხეობები ჰქონდათ საფარად თავგადასარჩენად, ეს გეოგრაფიული გარემო–პირობები სხვებთან შედარებით, უფრო ხელსაყრელ ვითარებას უქმნიდათ მათ: სვანეთი, მთიანი სამეგრელო და ზემო იმერეთი, რაჭა, მთიულეთი და თუშ–ფშავ–ხევსურეთი შედარებით დაცულნი იყვნენ ამ მიმართებით. ამით გადარჩნენ ეს მხარეები...

მესხეთის, – ქართული სახელმწიფოს და ქართული კულტურის აკვნის ტრაგედია იმანაც განაპირობა, რომ კავკასიის მსგავსი მიუვალი მთები და ხეობები მას არ გააჩნდა. ამიტომაც ვერ გადაურჩა მაჰმადიანურ მოძალებას, თუმცა თვით ერეკლე მეფის ეპოქამდეც კი, გარკვეულწილად ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. გეორგევსკის ტრაქტატის დადების ერთ–ერთი მოტივიც პატარა კახისთვის სწორედ ის ჩანაფიქრი იყო, რომ რუსეთის მეშვეობით გადაერჩინა მესხეთი სრული გათურქება–გამაჰმადიანებისაგან, მაგრამ ეს ჩანაფიქრი პატარა კახის, ისე როგორც ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიის შენარჩუნება, დამპყრობლის ვერაგობამ არარად აქცია... ეს გარედან შემოგდებული დღევანდელი უცნაური დეფინიცია – „თურქი მესხიც“, სწორედ ამ პროცესმა შვა...

კახეთი და განსაკუთრებით კი, ქიზიყი იგივე საფრთხის წინაშე იდგნენ, ოღონდ გათურქების ნაცვლად, გასპარსელება და მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა ელოდა მათ. XVII საუკუნე განსაკუთრებით ავბედითი საუკუნე გამოდგა ამ მხრივ. შაჰ–აბასის გენოციდური ლაშქრობები და დღევანდელი ფერეიდანი ყოველივე ამის ანარეკლია. მხოლოდ ხალხის გაუტეხელობამ და სიმტკიცემ გადაარჩინა ეს მხარე მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევის ამ საფრთხისაგან. ფსიქიკა ხომ, კაცის და ხალხის გადამწყვეტი და ყველაზე არსებითი ნიშან–თვისებაა...ქეთევან დედოფლის პიროვნებაში განივთდა ეს ყოველივე მაშინ.: მისმა თავდადება–თავგანწირვამ გადაგვარჩინა გამაჰმადიანებას....

„კაცნი მედგარნი“...

ქიზიყსა და ქიზიყელების დახასიათებისას ვახუშტი ბატონიშვილი ეპითეტებსა და მეტაფორებს არ იშურებს. მის **„საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში“** ქიზიყის უკლებლივ ყველა სოფელი, ეკლესია–მონასტერი და მათი გეოგრაფიული მდებარეობაა დახასიათებული. **„კაცნი მედგარნი, მხნენი, მაგარნი, მებრძოლნი, ახოვანნი, შემართებელნი, მიმყოლნი ურთიერთთა“**. ამიტომაც იყო, რომ კახელ ბაგრატიონებს პირად გვარდიასა და დაცვაში ქიზიყელები ჰყავდათ უპირატესად, ხოლო საზაფხულო რეზიდენციად სიღნაღი და ნუკრიანი – **„ჯანსაღი ჰავის გამო“...**

ძველი „**კამბეჩოვანი**“, დღევანდელი **„ქიზიყი“** (ვახუშტის ცნობით, პირველი ტოპონიმი იშვა **„კანბეჩთა სიმრავლის გამო“**, მეორე კი, **„ქისის მყოსგან – ე.ი. „ქისი“, „მჯიღი“,** მუშტი ჰკრა), **„ქართლის ცხოვრების“** პირველი ფურცლებიდან გვხვდება და ამასთან, მომავალი ერთიანი საქართველოს და ქართული სახელმწიფოს დიდი სიმბოლური მნიშვნელობითაც. აი, როგორ გადმოსცემს ამას **„ქართლის ცხოვრების“** პირველი ქართველი მემატიანე – ჟამთაღმწერი სუმბატ დავითის–ძე ბაგრატიონი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი **„ქართლის ცხოვრების“** ავტორთაგან ყველაზე სანდო მემატიანედ მიიჩნევს. თხზულებაში – **„ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“**, იგი წერს:

„... სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნიცა მისცა ღმერთმან ტყვეობასა შინა ბაბილონისა... ხოლო ეს შვიდნი ძმანი, ძენი სოლომონისანნი წარმოვიდნენ (ბაბილონის ტყვეობიდან)... და ოთხნი ძმანი მოვიდნენ ქართლსა, ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად. ხოლო ძმა მისი საჰაკ წარვიდა კახეთს და დაეზრახა ნერხეს და სხვა ორნი ძმანი ამათნი წარვიდნენ კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსელთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი“.

სუმბათის ეს ცნობა რომ სანდო და ნამდვილია იქიდანაც მტკიცდება, რომ მართლაც ამ ხანებში სპარსელები იყვნენ გაბატონებულნი მტკვარი – იორი – ალაზნის ქვედა წელის ამ არეალში. „ქართლის ცხოვრების“ სხვა ცნობებითაც მტკიცდება, რომ ბაბილონიდან დევნილმა ებრაელების პირველმა ტალღამ „კამბეჩოვანში“ ჰპოვა თავშესაფარი. როდის შეიცვალა სახელი – **„კამბეჩანი“** „ქიზიყით“, წყაროებიდან ამის ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება.

მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XVII – XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ძველ სიგელ–გუჯრებში ტოპონიმი – **„ქიზიყი“** უკვე მკვიდრად არის დაფიქსირებული, ხოლო XIX საუკუნეში ძველი ტოპონიმი **„კამბეჩოვანი“** საერთოდ, ხმარებიდან ამოვარდა. სოლომონ დოდაშვილს ხომ, შეთქმულები მეტსახელად **„მედგარ ქიზიყელს“** ეძახდნენ. დოდაშვილი ამ ბოლო ორი საუკუნის ყველაზე დიდი ქიზიყელია და მის მოღვაწეობას შემდგომში

ცალკე მონოგრაფიას მივუძღვნი... ამდენად, ეს ნაწილი გარკვეულ წინათქმად შეიძლება ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ამ ციკლის...

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვრისპირა რეგიონი, ე.წ. **„განაპირა ქვეყნები“** ისტორიულად გარკვეული სოციალურ–ეკონომიკური პრივილეგიებით სარგებლობდნენ ქრისტიანობამდეც და ქრისტიანულ ეპოქაშიც. ამიტომაა, რომ წმინდა ნინოს მონასტერი და ბოდბის საეპისკოპოსო ძველი ისტორიული ტრადიციებით ცალკე სამოურავოს ქმნიდნენ, საბჭოეთის ჟამს ორ რაიონად რომ დაშალეს და დაანაწილეს... აქაური გლეხობა მთლიანად იყვნენ განთავისუფლებულნი საბატონო ბეგარა–გადასახადებისაგან, სამაგიეროდ საზღვრების დაცვა და მტერთან პირველი შეჯახება მათი მოვალეობა იყო. **„უბატონო და თავისუფალი ქვეყანა“** – ასეთი ლოგოსით შემოაბიჯა ქიზიყმა XIX საუკუნეში...

ვითარება რადიკალურად შეიცვალა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. ალაზნის ველის სამხრეთ–აღმოსავლეთი ნაწილი **„ყაზარმებით“** მოიფინა. საქართველოს კი არა, მთელი იმპერიის მაშტაბითაც იმდენი ჯარი არსად იდგა, რამდენიც აქ: სიღნაღი, ხირსა, ყარღაჩი, თუქურმიშა (დედოფლისწყარო), ხორნაბუჯი – ეს ალაზანგამოღმა. არანაკლები ჯარი იდგა ალაზანგაღმაც, ისტორიულ ჰერეთში, რომელიც დამპყრობელმა გაუქმებული **„სამოურავოს“** ნაცვლად რუსულ ყაიდაზე შექმნილ **„სიღნაღის მაზრაში“** გააერთიანა: ლაგოდეხი, ბელექანი, კახი, ზაქათალა, მინგეჩაური რუსეთის სამხედრო ნაწილების ერთიან ჯაჭვს ქმნიდნენ მტკვარი – იორი–ალაზანის შეერთების მთელ ამ ლოკალში: ქიზიყიც რუსებმა თავიდანვე „სალდათების“ თარეშის არენად აქციეს...

ეს გაპირობებული იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო–პოლიტიკური სტრატეგიის მოთხოვნილებით: რუკას თუ დავაკვირდებით, ქიზიყი თავისებური პლაცდარმია სამხრეთით – ანატოლია–ირანისა და შუამდინარეთისაკენ, აღმოსავლეთით კი, კასპიისპირეთისა და შუა აზია – ინდოეთისაკენ.

პავლე I კი, „ალექსანდრე მაკედონელის სენით“ დაავადებული, ანთებული იყო ინდოეთში ლაშქრობისათვის. სანამ მას შეთქმულები თავისსავე საძინებელში მოახრჩობდნენ, არაფერს ზოგავდა ამისთვის – მან ხომ მოასწრო კაზაკთა პირველი რაზმები გაეგზავნა ინდოეთისკენ სალაშქროდ. გზაზე მოუსწრო მათ ახალი იმპერატორის ბრძანებამ ლაშქრობის შეწყვეტის შესახებ...

ქიზიყში განლაგებული რუსის ჯარები მუდმივ სამზადისში იყვნენ ერევნისა და თავრიზისკენ ლაშქრობისთვის, იმპერიის სტრატეგებს არც შუამდინარეთი – პალესტინა ავიწყდებოდათ, ქურთებით დასახლებული **„მოსულს“** და ერაყი–ირანი–თურქეთი–სირიის სასაზღვრო მთიანეთში დასახლებულთ მათგან დახმარების დიდი იმედიც ჰქონდათ მაშინ... დღესაც არის ალაზანგაღმა საინგილოში საკმაოდ დიდი სასოფლო დასახლება –

„მოსული“. იქაც და ალაზანგამოღმა ქიზიყშიც გვარი **„მოსულიშვილი“** საკმაოდ გავრცელებული გვარია...

ერთი სიტყვით, ქიზიყი თავიდანვე არათუ საქართველოს, არამედ კავკასიის მასშტაბითაც რუსეთის სამხედრო პლაცდარმი გახდა და ქიზიყელებიც უნდა – არ უნდოდათ უნდა შეგუებოდნენ ამ ახალ დამპყრობელ ძალას და მის გაუმაძღარ მადას. მაგრამ ეს ისე ადვილად არ მოხდა, როგორც რუსებს ეგონათ: განთქმულმა **„რუსულმა ხიშტმა“** აქაც კი იმუშავა მისებურად დაუნდობლად, თუმცა პირველხანებში ამანაც არ გაჭრა. ამის მიზეზი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო: ქიზიყში თავისი დასაყრდენი ჰპოვა მან და რომ იტყვიან, რუსების მოურჩენელი თავის ტკივილი გახდა.

ერეკლე მეფის სხვა შვილებისგან განსხვავებით, იგი გადაურჩა რუსეთში გასახლებას და სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ახალ დამპყრობელს. ეს ბრძოლა 1801 წლის სექტემბრიდან დაიწყო, როცა ალექსანდრე I ხელახლა გამოსცა ჯერ კიდევ პავლე I მიერ ხელმოწერილი **„საქართველოს რუსეთთან მიერთების მანიფესტი“**. სომხური წარმოშობის რუსს გენერალ ლაზარევს დაევალა საჯაროდ გამოეცხადებინა იგი ხალხისთვის, ბაგრატიონები კი უკლებლივ ყველა კაზაკთა ბადრაგით რუსეთს გაეგზავნა. ეს ის ლაზარევია, რომელიც მერე დედოფალმა მარიამმა ხანჯლით განგმირა **„მანიფესტის“** საზეიმო გამოცხადება სიონში შედგა. მასზე ღირს შეჩერება იმდენად, რამდენადაც ეს არის რუსეთის მიერ საქართველოსა და კავკასიის მიმართ **„სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის“** პირველი გამოვლენა, დღემდე რომ მოსდევს მას...

ამ **„სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის“** მიზანი თავიდანვე გახდა არა მარტო ბაგრატიონების, არამედ მთელი ერის გასახლებაც. ამის არაერთი ცდაც იყო XIX–XX საუკუნეებში. დოკუმენტურად გადმოსცემს ამას ივანე ჯავახიშვილი 1919 წლის ნაშრომში – **„დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის“...** ისე, რომ როცა დღეს ტერორიზმზე ვლაპარაკობთ, რუსული ტერორიზმიც დავიწყებული არ უნდა იქნას – ისტორიას ხომ, სიამრთლე უყვარს... მაგრამ მივუბრუნდეთ 1801 წლის სიონს და იქ შეკრებილ ხალხს. მათ ხომ; ჯერ არ იციან 1801 წლის 12 სექტემბრის **„მანიფესტი“** – ამის მოლოდინშია აქ შეკრებილი ხალხი...

მაგრამ ყველას კი უკვირდა ერთი რამ – რატომ შემოარტყეს სიონს ალყა, ხალხს კი ზარბაზნების ლულები მიუშვირეს?!.. ნუთუ სპარსეთის ჯარები მოადგნენ კვლავ თბილისს?!. (ესეც ხომ დიდი სიმბოლიკაა ჩვენს ისტორიაში: **„მანიფესტის“** თარიღი ზუსტად ემთხვევა ექვსი წლის წინ კრწანისის ტრაგედიას, რითაც ფეხქვეშ გათელა რუსეთმა 1783 წლის **„ტრაქტატით“** ნაკისრი დახმარების ვალდებულება). **„მანიფესტი“** გამოცხადდა – ამიერიდან საქართველოში რუსეთის იმპერატორის **„უზენაესი მმართველობა“** დამყარდა.

ერიც და ბერიც ვალდებული იყო დამორჩილებოდა რუსულ წესრიგს და რუსულ კანონებს, საამისო **„ერთგულების ფიციც“** აქვე, სიონში უნდა დაედოთ...

რამდენიმე კაცმა ზარბაზნების ლულებქვეშ მაინც გამოთქვა პროტესტი, ბაგრატიონები და გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლებიც შეახსენეს ლაზარევს, მაგრამ ისინი უმალ **„გათოკეს“** და გაუყენეს ციმბირის გზას... ასე მიეცა საწყისი **„რუსეთის სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ტერორიზმს“** საქართველოში და მასთან ერთად, კავკასიაშიც...

ამ ტერორიზმს რა თქმა უნდა, ვერც ქიზიყი ასცდა. მეტიც, იგი **„სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის“** ყველაზე დიდი მსხვერპლი გახდა. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი 1802 – 04, 1806–09 და 1812–1813 წლებია: ათასობით **„ბუნტარი“** გაასახლეს ქიზიყიდანაც და მთელი კახეთიდან შორეულ ციმბირში. ეს უკანასკნელი ბუნტი კი ასე დაიწყო: სათიბში გასულ გლეხებს თავს დაესხნენ რუსი სალდათები, კაცები გაბაწრეს, ქალებს კი გასაპატიურებლად მივარდნენ. ეხლაც არის ლეგენდად შემორჩენილი ქიზიყში – ქალებიდან ერთმა, სახელად თინამ ივაჟკაცა, ფიწალი გაურჭო მოძალადე რუსს, მერე სხვა ქალებიც მიჰყვნენ, გათოკილი კაცებიც გაანთავისუფლეს და რუსი სალდათები ერთიანად ამოწყვიტეს...

ასეთი აჯანყებები და **„ბუნტები“** ქიზიყში, კახეთსა და მთელ საქართველოში მთელი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდებოდა, რუსეთიც სისხლში ახრჩობდა მათ, გადარჩენილ მეამბოხეებს კი, ტრადიციულად ციმბირში ისტუმრებდა.

ძველი და ახალი „თეთრი ლაქები“

ქვეყანას ვერ ვნახავთ, რომ მას თავისი ისტორიის „თეთრი ლაქები“ არ ჰქონდეს. გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი კი წერს – „ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“, მაგრამ არაჭეშმარიტიც ხშირად გაერევა ხოლმე მას. რას ვიზამთ, ისტორია ვერ გაექცევა იმას, რასაც „ისტორიის თეთრ ლაქებს“ უწოდებენ...

მაგრამ „თეთრი ლაქებიცაა“ და თეთრიც: XIX – XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას იმდენ „თეთრი ლაქები“ აქვს, „გინესის წიგნშია“ ალბათ შესატანი. ეს ცალკე დიდი თემაა, მაგრამ აქ მინდა რამდენიმე ავღნიშნო...

დავიწყოთ იმით, რომ გეორგევსკის ტრაქტატი და საქართველოს დაპყრობა–ანექსიის ფაქტი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ლამის ღვთის კურთხევად იყო მიჩნეული და ჩვენებური ზარ–ზეიმით ავღნიშნავდით ხოლმე მათ იუბილეებს. იგივე „თეთრი ლაქაა“ ზემოდაღნიშნული „კახეთის აჯანყებაც“: სინამდვილეში კი, ეს კახეთის აჯანყება კი არა, რუსეთის პირველი დიდი „კავკასიური ომია“ რამდენიმე წელი რომ გრძელდებოდა კავკასიის მთების ორივე მხარეს – აქეთ, კახეთში, ქართლში, მერე იმერეთშიც, იქით – დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ყაბარდო–ბალყარეთში. აჯანყება ხომ, ერთჯერადი აქტია, ეს

მოვლენა კი, რაც მას სათავეში ალექსანდრე ბატონიშვილი ჩაუდგა, ლამის მთელი 10 წელი გაგრძელდა...

ესეც არ იყოს, 200 წლის წინ რა გვინდა, აგერ ჩვენს თვალწინ ისტორიის რამდენი „თეთრი ლაქაა“: ისე მივეჩვიეთ ამის თქმას და წერას – **„აფხაზეთის“,** ანდა, **„სამაჩაბლოს ომი“,** ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ორივე ერთად სინამდვილეში „რუსეთ–საქართველოს ომია“ აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთვის, ომი, რომელიც საქართველოს ამ ორი ძირძველი მხარის დაპყრობით დამთავრდა...

მაგრამ ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდ „თეთრ ლაქად“ რჩება ილია ჭავჭავაძის ადგილისა და როლის განსაზღვრა საქართველოს უახლეს ისტორიაში: ჯერ ხომ, მისი, როგორც „ბურჟუაზიული ნაციონალისტის“ სახელის ხსენებაც კი, აკრძალული იყო წიწამურიდან კარგა ხნის მანძილზე, მერე კი, დღემდე არ გვახსენდება მისი მთავარი დანატოვარი და სამემკვიდრეო ანდერძი – „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები, რაც ჩვენთვის, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ – „საქართველოს მომავლის გზისგამკვალავია“. გლობალიზმის ჟამს კი, ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს...

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ XIX საუკუნის დასაწყისს: აქ თაობას თაობა ცვლიდა და 1829–1832 წლების შეთქმულების დამარცხების შემდეგ, საქართველოს მოევლინა ილია ჭავჭავაძე – კაცი, რომელმაც ქართველებს შორის პირველი მიხვდა, რომ **„უნდა მივსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“.** დიახ, ერის, ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის გადარჩენისთვის ახლა მართლაც რომ, **„სხვა ბედის ვარსკვლავის“** ძიება იყო საჭირო. ილიაც ამ მისიისთვის მოევლინა ქვეყანას...

„ველს მშვენიერსა ჩასცინებოდა“...

ილია მთელი საქართველოს შვილია, მისი **„თანამდევი უკვდავი სულია“**, მაგრამ ამასთან მთელი სიცოცხლე გულში ინახავდა და სათუთად ატარებდა თავისი მშობელი მხარის სიყვარულს, **„ყვარლის მთებით“** რომ გამოხატა:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას, ვერ მივცემ მე დავიწყებასა.
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!

კახეთის, საქართველოს და მთელი კავკასიონის მშვენებას კი, ალაზნის ველი წარმოადგენს. 160 კილომეტრზე გაჭიმული ეს მწვანე ხალიჩა მართლაც, რომ ბუნების საოცრებაა. კავკასიასა და გომბორის ქედს შორის გაშლილ–განფენილი ეს ლამაზი ველი ილიას მუზის ობიექტიც გახდა. ალაზნის ველის

ღამის ელეგია პოემა **„კაკო ყაჩაღის“ შესავალიდან, არტურ ლაისტს სრულიად სამართლიანად ამ ჟანრში მსოფლიო პოეზიის შედევრად მიაჩნია:**

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარ ღამეს მხიარულებდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ...
და იმ მნათობთა სხივთა ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქოს დაღლილა მიწაც და ცაცა!...“

ალაზნის ველს ჩვენ არ ვაფასებთ, თორემ ყველა უცხოელი, რომელიც კი, მას პირველად ნახავს, აღტაცებას ვერ მალავს. ლაისტიც ერთ–ერთი მაგალითია ამის და ამიტომაც ალაზნის ველი დღეს ტურიზმის ბუმად შეიძლება აქციოს კაცმა... მახსენდება ერთი ინგლისელი ჟურნალისტის რობერტ ტომპსონის შეძახილიც, როცა სიღნაღიდან ალაზნის ველს გადახედა – თქვენ თვითონ არ იცით რა სიმდიდრისა და სილამაზის პატრონები ხართო. ჭეშმარიტად რომ ასეა და მისმა ამ აღფრთოვანებამ და ილიას ელეგიამ მეც მომცა ბიძგი პოეტურად გამომეხატა ეს ყოველივე პოეტურ კრებულში – **„ფიქრები ღმერთსა და ადამიანზე, დედამიწასა და საქართველოზე“**:

დიდებული ხარ ალაზნის ველო,
აფრენილი ხოხობივით პირმშვენიერო,
შენც ყვარლის მთებო,
ჩემო ღვთაებავ და სამლოცველოვ...
აწ და მარადის
მშვიდობით გევლოთ
ალაზნის ველო,
ყვარლის მთებო,
მთლად საქართველოვ...

ესეც ადამიანის თავისა და თვალის მიღმურობის კატეგორიაა: სულ სხვადასხვანაირად აღიქმება ალაზნის ველი გომბორისა და კავკასიონის სხვადასხვა წერტილებიდან: სხვა არის იგი ვთქვათ, თელავიდან რომ გახედავ და სხვა იგივე ყვარლის მთებიდან. ისტორიულად კავკასიის მთების ამ მონაკვეთს, რომელიც გეოგრაფიულად შუაზე ყოფს მას, ხალხი **„ლეკის მთას“** უწოდებს. დღესაც იქ პირველი თოვლი რომ დაიდებს ბინას, ქიზიყში იციან ხოლმე თქმა –

„ზამთარი დგება, ლეკის მთა გათეთრდაო“. ეს იმიტომ რომ ადრეც და ახლაც იქ ლეკების საცხოვრისია.

შუა საუკუნეებში **„ლეკიანობა“** ერთ–ერთი დიდი თავსატკივარი იყო არათუ ქართლ–კახეთისა, არამედ მოთარეშე ლეკთა რაზმები იმერეთსაც აღწევდნენ ხშირად. რაც მართალია მართალია, ვისაც ამ **„ლეკის მთიდან“** ალაზნის ველზე გადმოუხედია, ის გაცილებით ლამაზი და მშვენიერია. მაგრამ აქ ლეკებს ეს სილამაზე კი არ ხიბლავდათ, არამედ საშოვარი, ასე ნაკლებად რომ იშოვება მთაში მაშინაც და ახლაც. ილიას მამაც ხომ, ლეკებთან ბრძოლას შეეწირა, ობლად რომ დატოვა ისიც და ილიასთან ერთად კიდევ ოთხი შვილი. საოცარი ტკივილით და ემოციური ძალით წერს ამაზე ილია თავის ფსიქოლოგიურ შედევრში – **„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“**, ყვარელს, მშობლებს და ბავშვობას რომ იხსენებს მის დასაწყისში:

„მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ–მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა, დავრჩით ქვეყნიერებაზედ მარტო ორნი და – ძმანი... დღეს იმ სოფელში მარტო ხუთი სამარეღაა... წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა, წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირი ტკივილისა, რაღაც სხვანაირი მწუხარებისა, რომელსაც ადამიანი ზოგჯერ სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა“.

მაგრამ ალაზნის ველის სიმშვენიერე–სილამაზესთან ერთად, ერთი საოცრებაც აკვირვებდათ საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს – მისიონერებს თუ უბრალო მგზავრებს და დამკვირვებლებს: **„ლეკიანობას“** ყველა უჩიოდა, გარდა ქიზიყელებისა... საკითხავია, რატომ?

რატომ და იმიტომ, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ქიზიყის რომელ სოფელს დაესხმოდნენ და დააყაჩაღებდნენ, შეიკრიბებოდნენ უმალვე ყველა სოფლის დარჩეული ვაჟკაცები და რამდენ ცხვარსა თუ ბატკანს, ქალსა თუ ბავშვს წარსტაცებდნენ ლეკები, ორი იმდენს წამოიყვანდნენ დაღესტნიდან... ასე და ამრიგად მოიშალეს ლეკებმა ქიზიყის სოფლების ძარცვა–რბევა, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს ქიზიყის სოფლები იყო მათთან და დასაყაჩაღებელიც აქ უფრო ბევრი ეგულებოდათ, ვიდრე სხვაგან...

ეს ადრე, დღეს ლეკები, რომელთა საკმაო ნაწილი ალაზნის ველზე ჩამოსახლდა, პირველი **„კონაღები“** გახდნენ კახელების... ასეა მუდამ, – დრო მიდის, დროს ვინ გააჩერებს და ახალი დრო–ჟამი ხშირად თვისობრივად ცვლიან ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობებს. XX საუკუნის დასაწყისიდან კახეთის რკინიგზამ ძირეულად შეცვალა ქიზიყის სოციალურ–ეკონომიკური ყოფა. ილიას ინიციატივით შექმნილმა **„კახეთის რკინიგზის ამხანაგობამ“** ერთი ათად გაზარდა აქაური მწარმოებელი ძალების ეკონომიკური პოტენციალი.

ამას თან დაერთო ილიას და მისი ბანკის შეღავათიანი სესხები ქართლ–კახეთში და განსაკუთრებით, ქიზიყში სამეურნეო კოოპერაციების განვითარების მიზნით, რომელთაც ხშირად **„ხოდაბუნურ ამხანაგობებს“** უწოდებდნენ. ებრაული **„კიბუცების“** მსგავსად, მათ არა მარტო სოფლის ეკონომიკას, არამედ ხელი შეუწყეს ადგილობრივი თვითმართველობის განვითარებასაც. ამის მაგალითია მაჩხაანი და დიმიტრი მაჩხანელის მოღვაწეობა.

ილია და დიმიტრი მაჩხანელი:

– სოფელი რა არის და ერთი კაციო...

ვინც XIX საუკუნის 90–იანი წლების **„ივერიას“** გადაათვალიერებს, იქ დიმიტრი მაჩხანელს (ნადირაშვილს) ხშირად შეხვდება. ილიასთვის ეს ქიზიყელი კაცი გახდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების აღმოჩენა – ილია ხომ ასეთ კაცებს ეძებდა სულ მუდამ: **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“**, წერდა ილია და დიმიტრი მაჩხანელიც იმის ნიმუშია, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი კაცი სრულიად ახალი და საქართველოსთვის დღემდე უცნობი კაპიტალიზმის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების ობიექტურ პირობებში.

ყველა ეპოქა თავის შესატყვის **„მოქმედ კაცებს თხოულობს“** და ილიაც ასეთ კაცებს ეძებდა ქართული **„სამეწარმეო სულის დასამკვიდრებლად რამეთუ, – ხმლისა და თოფის დრო წავიდა, ახლა ქარხნების დრო დადგა“.** ილია კაპიტალიზმის ქართულ ალტერნატივად და ნაირსახეობად **„სახალხო ანუ, ხოდაბუნურ კაპიტალიზმს“** სახავდა. ოღონდ, მიაჩნდა, რომ მისი განხორციელებისათვის ქვეყნის თვითეულ მხარეში, თემსა და სოფელში საამისოდ გამორჩეული **„გერგილიანი კაცების“** მოძიება იყო საჭირო. ასეთ კაცად შეიცნო დიმიტრი მაჩხანელი ილიამაც...

ორიოდე სიტყვა ცნება – **„კაცის“** ილიასეულ გაგებაზე: ილიას იგი ქართული ენის დიდ სიტყვად მიაჩნდა: **„ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა სიტყვა „კაცმა“ „კაცურის“ დამატებაც მოითხოვა“** – წერდა იგი და მართლაც რა ზედსართავი სახელის დამატებაღა უნდა უნდოდეს **„კაცს“**?! მისი ნოველის დასათაურებაც ხომ, – **„კაცია–ადამიანი?!“**, სწორედ ამას უსვავს ხაზს – ილიასთვის ყველა ადამიანი კაცი არაა. მაშასადამე, თანამედროვე სოციოლოგიური ენით ცნება – **„კაცი“** იმას ნიშნავს, რაც თავისი ქცევა–ქმედებით ჩამოყალიბებულ მოქალაქე–პიროვნებად გაიაზრება. სტატიაში – **„აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“**, ილია გვაძლევს **„კაცის“** ერთ მეტად საინტერესო და ღრმააზროვან კლასიფიკაციას:

„ზოგად – კაცი“
„ერის – კაცი“
„თემის – კაცი“
„გვარის – კაცი“
„ოჯახის – კაცი“

ამ ილიასეულ კლასიფიკაციას და **„კაცის“** მისეულ გააზრებას მე ადრეც ხშირად შევხებივარ, მაგრამ აქ მინდა პოლიტიკური თვალთახედვით შევხედოთ მას. **„ხუთი კაცის“** თეორიას ვუწოდებ მას და თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ვნახავთ:

ილიასთვის **„ზოგად–კაცი“** ნიშნავს ქართველი ერის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც ქართველისა და საქართველოს სახელს შორის გაიტანს და ზოგად–კაცობრიული მნიშვნელობას შესძენს მას. **„ზოგად–კაცის“** ამ ილიასეული გააზრებით, იგივე შოთა რუსთაველი და მასთან ერთად, სხვა ჩვენი **„ზოგად–კაცნი“** – ფარსმან ქველით და პეტრე იბერით დაწყებული დღემდე, კაცობრიობას შეახსენებენ, რომ ამქვეყნად ქართველი და საქართველოც არსებობს და კვლავ ილიას რომ დავესესხოთ, მოწყვეტით რომ თქვა „ქვათა ღაღადში“ – „ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ“?!...

„ერის – კაცი“ ერის მასშტაბით მოღვაწე კაცია და მადლობა უფალს, ასეთი პიროვნება და კაცი არასოდეს მოკლებია საქართველოს. როგორც ილია წერს **„ერიც მუდამ თავის ამ დიდბუნებოვან კაცთა მაგალითებით ჰსულდგმულობს“**.

„თემის – კაცი“ მოცემულ თემში მოღვაწე და მოქმედი კაცია. ძველ საქართველოში მას **„ერისთავს“**, ანდა, **„საქვეყნოდ გამრიგე მოხელეს“**, **„მოურავს“** უწოდებდნენ...

„გვარის – კაცი“, ამა თუ იმ გვარის მასშტაბით აღიარებული ისეთი ავტორიტეტია, რომლის სიტყვაც ამ გვარისთვის ფასეულია. ადგილობრივი მართვა–გამგეობა სწორედ ამ ორ კაცზე – თემის–კაცსა და გვარის კაცზე იყო დაფუძნებული ისტორიულად.

„ოჯახის – კაცი“ ილიასთვის არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია. ერის მომავალი, მისი ფიზიკური არსებობა – განვითარება სწორედ მასზე იყო და არის დღესაც დამყარებული...

„კაცის“ ილიასეული კლასიფიკაცია იმითაც უნდა იყოს ჩვენთვის ნიშანდობლივი, რომ როგორც შემდეგ სტატიებში – **„ერი და ისტორია“** და **„ცხოვრება და კანონში“** გადმოსცემს, მომავალმა ქართულმა სახელმწიფომ და ქართველთა შემდგომმა თაობებმა არ დაივიწყონ ამ დიდი სიტყვის არსი, მისი ფასი და ძალი... ღმერთმა არ ქნას, ისე არ წაგვივიდეს საქმე, რომ ჯერ ხომ „კაცურის“ დამატება მოგვთხოვა ახალმა დრო–ჟამმა, ახლა ამ დამატებიანად არ გაქრეს ეს დიდი სიტყვა ჩვენი ენიდან...

ილიას კვალდაკვალ ივანე ჯავახიშვილიც თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში – **„ქართული სამართლის ისტორია“**, განსაკუთრებით იმ თავებში, სადაც XII საუკუნის სახელისუფლო ინსტიტუტებს და **„პატრონყმურ წყობილებას“** ახასიათებს, ხაზგასმით აღნიშნავს ამ ჩვენი ძველი პოლიტიკური და სოციალური მემკვიდრეობის სამომავლო დანიშნულებას. ამ ჩვენი ორი ყველაზე დიდი ერისკაცის ანდერძსა და შეგონებას გაგება და აღსრულება უნდა ჩვენგან...

სათაურად აღებული ეს ძველი გამოთქმაც – **„სოფელი რა არის და ერთი კაციო“**, მარტო სოფელს არ ეხება: **„სოფელს“** ქართულ ენაში მოგეხსენებათ, ორგვარი სემანტიკური გაგება აქვს და ერთ კონკრეტულ საცხოვრისთან ერთად, უფრო ფართო და ზოგად გაგებასაც მოიცავს. დიმიტრი მაჩხანელიც რომ ავიღოთ, იგი მარტო ერთი სოფლის მასშტაბით კი არ მოქმედებდა, არამედ ქიზიყის და მთელი კახეთის მასშტაბითაც. ამის დასტურად გამოდგება მასთან ერთად, ქიზიყის და კახეთის სხვა მაშინდელი მოღვაწეების – ვარლამ ჩერქეზიშვილის, არჩილ ჯორჯაძის, იროდიონ ევდოშვილის, სანდრო შანშიაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, კოხტა აბხაზის ღვაწლი ილიას ინიციატივით დაფუძნებულ **„კახეთის რკინიგზის ამხანაგობაში“**. სწორედ მათი ძალისხმევით მოხდა მისი წარმატებით დამთავრება როგორც თელავის, ისე ქიზიყის მიმართულებით.

შემდგომში გაჩნდა ახალი იდეა, რომ კახეთის რკინიგზა ალაზანგაღმაც – საინგილოსკენაც გაგრძელებულიყო და ამით აზერბაიჯანის რკინიგზასთან დაკავშირებულ კახეთს გზა გახსნოდა აღმოსავლეთით კასპიისპირეთისაკენ. მაგრამ ამ იდეას განხორციელება არ ეწერა, თუმცა II მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ილიას სრული რეაბილიტაცია მოხდა, მისი ეს იდეა კვლავ გაცოცხლდა და 50–იან წლებში სათანადო პროექტიც კი შედგა, მაგრამ სამწუხაროდ კახეთის რკინიგზა დღემდე კვლავ ჩიხად დარჩა. 60–იან წლებში გაჩნდა ე.წ. **„ჰარიმან–ტომასონის გეგმა“**, რომლის მიხედვით ალაზნის ველი უნდა გადაქცეულიყო მასობრივი ტურიზმის არეალად:

ამ ორმა ბიზნესმენმა სპეციალურად გადმოხედეს ალაზნის ველს გომბორიდანაც და კავკასიონიდანაც და გაუჩნდათ იდეა გაეყვანათ ალაზნის გაღმა–გამოღმა ე.წ. **„რკინიგზის ოვალური რკალი“** თავისი **„ტურისტული დასასვენებელი ბანაკებით“** სამონადირეო ტურიზმის განვითარების მიზნით გომბორი–კავკასიის ამ ლოკალურ გარემოში. კრემლის მაშინდელი ერთ–ერთი ლიდერი კულაკოვი დაითანხმეს კიდეც, მაგრამ მერე ეს ყველაფერი **„პერესტროიკამ“** ჩაშალა, იდეა კი, იდეად დარჩა. დღეს აზერბაიჯანთან ერთად შესაძლებელია მისი განხორციელება, თუკი ამის პოლიტიკური ნება იქნება...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 2 წლის მანძილზე სიღნაღში მომიწია მუშაობა და მაშინ დეტალურად გავეცანი ამ გეგმას და გავოცდი მისი მასშტაბურობით მინგეჩაურიდან ახმეტამდე მთელ ალაზნის ველს რომ მოიცავდა. აქ სულ 52 **„ტურისტული სადგომი“** უნდა აშენებულიყო. ნუკრიანში

აშენდა კიდეც ერთ–ერთი ბრწყინვალე ტურისტული კომპლექსი, სადაც მერე თსუ სიღნაღის ფილიალიც განთავსდა, მაგრამ 2007 წელს იგი ნანგრევებად აქციეს ე.წ. **„ნაციონალებმა“** (სინამდვილეში კი, ფსევდონაციონალებმა), პრეზიდენტისთვის რეზიდენციად გადასაკეთებლად, თითქოს სააკაშვილს რეზიდენციები აკლდა...

ერთი სიტყვით, კახეთის რკინიგზასთან დაკავშირებული ილიას ეს იდეა დღემდე განუხორციელებელი რჩება, ისე როგორც მისი სხვა არაერთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური იდეებიც. არადა, დღეს თითქმის ყველა ერთხმად ვამბობთ, რომ **„ილიას გზაა“** ჩვენი სამომავლო განვითარების ორიენტირი, მაგრამ ჯერ–ჯერობით სიტყვის იქით არ წავსულვართ, საკითხავი კი არის – რატომ?...

ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია: ეროვნულ და რეგიონალურ ეკონომიკათა დიალექტიკა

„საერთო ნიადაგის“ თეორია ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპს შეიცავს და მათზე ჩვენ ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმას, რაც ეროვნულ ეკონომიკას ეხება. ადრეც ითქვა: **ეროვნული იდეოლოგია – ეროვნული ეკონომიკა – ეროვნული სახელმწიფო**, – ასეთია ილიას გზავნილი ჩვენთვის და ჩვენც მთელი სიგრძე–სიგანით უნდა გავითავისოთ ეს გზავნილი. რაც შეეხება ეროვნულ ეკონომიკას, მისი სტრატეგია მხატვრული მეტაფორითაც გადმოგვცა **„მიწისა და გუთნის საქართველოს“** სახით...

საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების **„აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგია“** – ასეთია თანამედროვე ეკონომიკური ენით ამ მეტაფორის გაგება და არსი. ამასთან, ეს მარტო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ცალმხრივი გაგება კი არაა, რაც ფაქტიურად ქვეყნის ორიოდე ურბანულ ცენტრს მოიცავს, არამედ საქართველოს მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთგანპირობებულ თავისებურ მათემატიკურ ჯამს. ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს და ჩვენც მხოლოდ ამ გზით შევძლებთ სტაბილური სოციალურ–ეკონომიკური განვითარების მიღწევას ჩვენს ქვეყანაში.

კახეთის რეგიონალური ეკონომიკის სწორი ორიენტირების გააზრებისთვის ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს ილიას შეხედულებები მასზე. ისინი უპირატესად მოცემულია მისი თხზულებების მეოთხე გამოცემის VII ტომში და ფაქტიურად კახეთის ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგს მოიცავენ. რაც შეეხება ეკონომიკურ–ორგანიზაციულ ფორმებს, ისინი მოცემულია მის

სტატიაში – **„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“**, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა აღფრთოვანებული რეცენზია მიუძღვნა და მას საქართველოს ეკონომიკის **„გზის გამკვალავი“** უწოდა. 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**.

ისტორიულად კახეთის და მასთან ერთად ქიზიყის სამეურნეო ცხოვრებას 9 ტრადიციული დარგი განაპირობებდა: მემარცვლეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა–მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ეთერ–ზეთოვანი კულტურები და გადამამუშავებელ–ხელოსნური წარმოება. ზემოდაღნიშნული **„მაჩხაანის ხოდაბუნის“** წარმატების საიდუმლოც იმაში მდგომარეობს, რომ აქ ეს ცხრავე დარგი იყო წარმოდგენილი: თუ ერთი და ორი არ გაამართლებდა, დანარჩენები აუცილებლად მოახდენდნენ ამის კომპენსაციას. ილიას რჩევით დიმიტრი მაჩხანელმა ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი (10 წელი) შეღავათიანი აგრარული სესხი (წლიურად 5%) ისე გაანაწილა, რომ ყველა დარგში ჩადო თანაბრად და შედეგმაც არ დააყოვნა – დიმიტრი მაჩხანელმა მაჩხაანი და მაჩხანელთა ყოფა–ცხოვრება ძირეულად გარდაქმნა. ამ სოფელს დღემდე ატყვია ამის ნაკვალევი...

ცნობილია, რომ ილიას უყვარდა იუმორი, ხშირად მეტად სარკასტულიც, მესამედასელებთან პოლემიკით, თუ ლუარსაბის, დარეჯანის და გლახა ჭრიაშვილის ტიპაჟებით გადმოცემული. მას სიძე ქიზიყიდან ჰყავდა და იხსენებენ სიძის გასაბრაზებლად ილიას ერთ საყვარელ ანეგდოტს: რა განსხვავებაა კახელსა და ქიზიყელს შორის და დიდი არაფერიო – კახელს თავს რომ მოაჭრიან, მეტი რა ჩარა აქვს – თავის ავყიაობა – ბილწსიტყვაობას შეწყვეტსო... ქიზიყელს რომ მოაჭრიან თავს, ის მაინც ხორხიდან იგინება – დედას გიტირებთო. დიმიტრი მაჩხანელიც ასეთი უტეხი და მებრძოლი ხასიათის გამო უყვარდა და პატივს სცემდა, **„სიტყვისა და რწმენის კაცი“** ასე ახასიათებდა მას ილია. დიმიტრი მაჩხანელის, სანდრო შანშიაშვილის და ეროდიონ ევდოშვილის სახლ–მუზეუმებში ბევრი მასალაა დაცული ამ მხრივ...

„საერთო ნიადაგიც“ იმიტომ ჰქვია ილიას მთელ მემკვიდრეობას, რომ იგი ასეთი დიდი სულის და **„დიდბუნებოვანი კაცების ერთნებაობითა და თანადგომით“** უნდა განხორციელდეს. ამ გზით უნდა აშენდეს თვითეული ქართული სოფელიც და მასთან ერთად მთელი ჩვენი **„სოფელ–ქვეყანაც“**... ერთი ეგაა, რომ ამ თეორიას გაგება – გათავისება და გათანამედროვეობა – საქმედ ქცევა სჭირდება. სხვანაირად ხომ, ილიასი არ იყოს – **„ნებისმიერი მეცნიერება, იდეა და თეორია უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“**...

„ივრისპირეთი – ჩვენი დიდი ტკივილი“

ალბათ ძნელად მოიძებნება დედამიწაზე ისეთი ქვეყანა, სადაც ასეთ პატარა ტერიტორიაზე ამდენი მრავალფეროვნებაა როგორც ბუნებრივ–კლიმატური თვალსაზრისით, ისე მცხოვრებთა ზნე–ხასიათის და ტრადიციებით. საქართველოს მთაცა და ბარიც უნიკალური თავისებურებებით ხასიათდება და ამას გათვალისწინება სჭირდება ჩვენგან. აკაკის ერთი ლექსისა არ იყოს, ჩონგურის სიმებივით ამ სხვადასხვა ბგერათა ჟღერადობას ერთ მთლიანობაში აწყობა სჭირდება. ეს ეხება ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს და მათ შორის ეროვნული და რეგიონალური ეკონომიკების ურთიერთგაპირობებულობასაც, მათ **„საერთო ნიადაგზე“** დადგომას...

ილიას განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. იგი ევროპაში ცხოვრობდა და როცა კი საქართველოში ჩამოვიდოდა ის და მისი ფრანგი მეუღლე – ფრიდა ილიას და ოლღას საპატიო სტუმრები იყვნენ მუდამ. წარმოშობით კახეთიდან, სოფელ თოხლიაურიდან იყო და ილიას მსგავსად, ქართული **„სახალხო კაპიტალიზმის“** პოზიციებზე იდგა. არაერთი სტატია აქვს „ივერიაში“ ევროპის მსგავსი კაპიტალისტური სასოფლო–სამეურნეო კორპორაციების საქართველოში დანერგვის შესახებ. მისი ინიციატივით საგარეჯოშიც შეიქმნა ილიასეული „**ხოდაბუნური ამხანაგობა“**...

საქართველოში ერთ–ერთი ჩამოსვლის დროს მათ იმოგზაურეს ივრისპირეთში და გაოცებულნი დარჩნენ, თუ როგორ უპატრონოდ იყო მიტოვებული ივრის შუა და ქვედა წელი. მაშინ დავით გარეჯის სამონასტრო მეურნეობა ჯერ კიდევ არსებობდა და დანარჩენი ათასობით ჰექტარი მინდვრები, განსაკუთრებით ქიზიყის მხარეს, სრულიად გაუკაცრიელებული დახვდათ. **„ივრისპირეთი – ჩვენი დიდი ტკივილია“**, ასეთი იყო მათი საერთო აზრი.

ამანაც განაპირობა ის, რომ ილიამ დიმიტრი მაჩხანელს დამატებით კიდევ გამოუყო კრედიტი, ოღონდ მას დაეწყო ივრისპირეთის სამეურნეო აღორძინება – ათვისების საქმე. მართლაც, დიმიტრი მაჩხანელმა ჩვეული ენერგიით დაიწყო ივრის ორივე, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ათვისება და კარგი მოგებაც ნახა ამით: ეს მიწები დასვენებული ყამირი მიწები იყო და ამიტომ მოსავლიანობაც მეტად სარფიანი აღმოჩნდა იქ სადაც მოხნეს და იქაც, სადაც საძოვრად გამოიყენეს. ხორბლის, ქერის, ცხვრის, ძროხის და ხარ–კამეჩის რაოდენობის ზრდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღეს სად ნახავთ, რომ მარტო ერთ სოფელს ცხვარი, ძროხა და ხარ–კამეჩი 400 000 სული ჰყავდეს? მესაქონლეობის მთავარი არეალი კი, სწორედ ივრისპირეთი იყო...

დღეს კი, ივრისპირეთი ღვთის ანაბარად მიტოვებული რეგიონია. კახეთი გეოგრაფიულად ორ მდინარეს შორის მდებარე თავისებური, მეორე შუამდინარეთია და მხარის თითქმის ნახევარ ტერიტორიაზე კი, კახელ კაცს და

ქართულ სოფელს ვეღარ შეხვდებით, თითქოსდა თემურ ლენგს და შაჰ–აბასს აქ ხელახლა ულაშქრიათ. პრობლემის გადაწყვეტის გზა აქაც ილიამ მოგვცა: მან და ჩერქეზიშვილმა შეიმუშავეს ივრისპირეთში კორპორაციების ერთიანი სისტემის შექმნა და ახალ ტექნოლოგიურ საფუძვლებზე მხარის ხელახლა ათვისება–დასახლება. მაგრამ ეს იდეაც იდეად დარჩა, თუმცა ცდები შემდეგშიც არაერთი იყო:

ჯერ კიდევ 1987 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავზე **„თსუ ილიალოგთა კლუბმა“** ივრისპირეთში საფუძველი ჩაუყარა სასოფლო–სამეურნეო დასახლებას – „ილიაწმინდა“. იგი ჩვენ მიგვაჩნდა ილიას იმ ძველი იდეის რეამინაციის ცდად, მაგრამ ეს წამოწყებაც მშენებლობის დასაწყისშივე ჩაკვდა: დღეს იქ მხოლოდ ნანგრევების გორაღა დგას. არადა, „ილიაწმინდა“ ილიას დროს დაფუძნებული „მაჩხაანის ამხანაგობის“ მსგავსად, დარწმუნებული ვარ ივრისპირეთს ძველ დიდებას დაუბრუნებს. სწორედ ეს იდეაა გატარებული ივ.ჯავახიშვილის **„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“.**

ივანე ჯავახიშვილი და ქიზიყი:

„შირაქი – საქართველოს პურის ბეღელი“

მოულოდნელმა გარდაცვალებამ ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მუშაობის ბევრი გეგმა ჩაშალა და ამიტომაა, რომ მისი არქივიც დღემდეც კი, მთლიანად სისტემაში მოყვანილი და შესწავლილი არაა. პირველ რიგში ეს ყველაფერი თემატურად არის დასალაგებელი – მას ხომ დაუმთავრებელი ნაშრომების, ჩანაწერების, გეგმა–პროსპექტების ზღვა მასალა დარჩა დაუმუშავებელი და გამოსაქვეყნებელი.

ეს კვლევის ცალკე დიდი თემაა, მაგრამ აქ ნიმუშისთვის გთავაზობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ამ მასალებიდან მრავალთაგან ერთ მეტად სიმბოლურ ჩანაწერს, რომლითაც ჩანს თუ რა დიდი მიზანი ჰქონდა მას – შეექმნა „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის“ კურსი.



„ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია“ – აი, რას თხოულობს ივანე ჯავახიშვილი ჩვენგან და სწორედ ეს არის დღეს ჩვენი ეროვნული მეცნიერების „აქილევსის ქუსლიც“. აღსანიშნავია, რომ იგივე იდეა გამოთქმული აქვს ილიასაც, რასაც ივ. ჯავახიშვილი გამოეხმაურა 1938 წელს ილიას რეაბილიტაციის შემდეგ დაწერილ ნაშრომში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ეს მისი თავისებური ანდერძიცაა ჩვენთვის – ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიით შექმნილიყო „ისტორიის ფილოსოფიის“ ეს კურსი, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით – „საქართველოს ისტორია და პოლიტოლოგია“.

ასე იწერება ისტორიები დასავლეთის ქვეყნებში და ჩვენი ისტორიაც ასე „ფილოსოფიურად“ უნდა განვაზოგადოდ, როგორც ამას თხოულობდა ივ.ჯავახიშვილი და რისი განხორციელების საშუალება მას მაშინ არ მიეცა. მას ხომ, მაშინ თვით მისი მოსწავლეებიც კი განუდგნენ და ზურგი აქციეს...

ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი მთელი 10 წელი და მეტი რეპრესიების პირობებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გაძევებული იქნა თავისსავე დაარსებული უნივერსიტეტიდან და ამიტომ ეს მასალებიც ამ მხრივაც არის დასალაგებელი. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ განაპირობა მისი დაბრუნება უნივერსიტეტში სიცოცხლის ბოლოს და ამიტომაც ვერ მოასწრო ამ მასალების თავმოყრა და სისტემატიზაცია.

მისთვის ხომ 20–30–იანი წლები დევნა–შევიწროების და შიმშილის წლები იყო. უნივერსიტეტს ვინ ჩივის („ბოლშევიკური რეორგანიზაციით“ იგი გააუქმეს და ინსტიტუტებად დაშალეს), კათედრიდანაც გააძევეს და მის გამგედ ფილიპე მახარაძე „აირჩიეს“, (მეტი ცინიზმი და პარადოქსი თუ შეიძლება არსებობდეს!?). ესეც არ აკმარეს და, როგორც „ბურჟუაზიულ მეცნიერს“, ლექციების კითხვაც კი აუკრძალეს! დოკუმენტურად აქვს აღწერილი ყოველივე ეს ე.ხოშტარია – ბროსეს ნაშრომში: **„ივანე ჯავახიშვილი – წარსულის ფურცლები“,** თბ. 1996 წ. ესეც დიდი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი თაობებისთვის...

თავის დროზე **„თსუ ილიალოგთა კლუბიც“** იმიტომ დაფუძნდა, რომ ივ.ჯავახიშვილის ანდერძი ილიას პოლიტიკაში მემკვიდრეობის, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის კვლევისა, ახალ–ახალმა თაობებმა საქმედ აქციონ, მათ შორის, ეროვნულ ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ჯერ კიდევ 1907 წელს ივ.ჯავახიშვილმა გამოსცა **„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“** პირველი წიგნი. ამ პრობლემაზე იგი შემდგომაც ინტენსიურად მუშაობდა, რამეთუ ილიას მსგავსად მიაჩნდა – **„ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული ეკონომიკის გარეშე ეროვნული სახელმწიფო არ არსებობს“**. სამწუხაროდ, მან ეს ვერ გააგებინა სოციალ–დემოკრატიულ მთავრობას მაშინ...

იქნებ დადგა დრო, რომ ეს მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობა ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული სახელმწიფოს სამსახურში ჩავაყენოთ. სწორედ ამისკენ მოწოდებაა ივანე ჯავახიშვილის ის ხელნაწერიც, სადაც **„საქართველოს ისტორიის, მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის“** მოთხოვნაა დაფიქსირებული.

მან ხომ, ქიზიყში სპეციალურად მოავლინა თავისი ასპირანტი სტეფანე მენთეშაშვილი ამ მიზნით. შედეგად შეგროვდა მრავალმხრივი მასალა ქიზიყის ეკონომიკაზე, მის ტრადიციულ სამეურნეო დარგებსა და ორგანიზაციულ ფორმებზე.

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ეხება, მაგრამ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მემარცვლეობას. აქ მას ერთი საინტერესო ცნებაც შემოაქვს – **„ეკონომისტ–ისტორიკოსი“**, რითაც სიმბოლურად მიუთითებს საქართველოს წარსულის, აწმყოს და მომავლის კვლევაში ისტორიკოსის მოვალეობაზე – შესატყვისი ადგილი დაუთმოს ეკონომიკურ პრობლემებს, რომლის ნიმუშად მას მოჰყავდა **„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის“** ილიასეული ანალიზი...

ნაშრომის იმ თავებში, რომლებიც ხორბლეულს, როგორც ქვეყნის გამომკვებავის და მესაქონლეობა–მეფრინველეობის განვითარების საბაზისო დარგის განვითარებას ეხება, ივანე ჯავახიშვილი შირაქს, ალაზნის ველს და ივრისპირეთს ამ დარგის სამშობლოდ მიიჩნევს. აქ იგი ეყრდნობა **„ქართლის ცხოვრებასაც“** და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ გამონათქვამებს ქიზიყზე და მის სოფლებზე. ამ ე.წ. „სამონასტრო სოფლების“ უდიდესი ნაწილი წმ. ნინოს საეკლესიო–სამონასტრო მეურნეობის გამგებლობაში იყვნენ „სათემო მიწათმფლობელობის“ საფუძველზე და სწორედ ამან აქცია შირაქი **„საქართველოს პურის ბეღლად“**.

ქიზიყის ისტორიას არ ახსოვს, რომ შირაქის შავმიწანიადაგიანი უაღრესად ნაყოფიერი მიწები ვისიმე, თუნდაც ქიზიყის მოურავის, ან, თუნდაც ბაგრატიონების კერძო საკუთრებაში ყოფილიყო. თვითეულმა სოფელმა იცოდა შირაქში თავისი მინდვრების საზღვრები და „კომლის თავების“ მეშვეობით ხდებოდა მათი კოლექტიური ხვნა–თესვა–მკა და მოსავლის განაწილება „ხელთა რაოდენობის“ ე.ი. სამუშაოებზე გასული მუშახელის მიხედვით. ეს არათუ უზრუნველყოფდა ქიზიყს და კახეთს სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულით, არამედ მარცვლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპორტზეც გაჰქონდათ. მაჩხაანის „ამხანაგობის“ შემოსავლის დიდი ნაწილიც ხომ, მემარცვლეობაზე მიდიოდა. ამ შემოთხვევაშიც, „ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია“...

ქიზიყის სხვა სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, **„თსუ ილიალოგთა კლუბმა“** სიღნაღის ფილიალის ძალებით 90–იან წლებში ჩაატარა ფართო სოციოლოგიური გამოკითხვა – ანალიზი ამ თემაზეც და შედეგად მივიღეთ საოცარი პარადოქსი: მემარცვლეობის ამ უზარმაზარ რეგიონს კერძო საკუთრებამ მთლიანად დაუკარგა „პურის ბეღლის“ ფუნქცია. დღესაც რომ ჩახვიდეთ იქ, შირაქის ნახევარზე მეტი მოუხნავ–დაუთესავია. ასე იცის მუდამ „წინაპართა გზის დაგდებამ“ – შენი ისტორიისა და მემკვიდრეობის ღალატმა...

ზემოდნახსენები სამეურნეო კორპორაციაც – „ილიაწმინდა“ იმ მიზნით იყო ჩაფიქრებული, რომ მას აღედგინა „პურის ბეღლის“ ეს ფუნქცია ქიზიყში,

წარვადგინეთ შესაბამისი ეკონომიკური დასაბუთებაც, მაგრამ ამაოდ. ახლის შექმნას ვინ ჩივის, გაუქმებული იქნა მემარცვლეობის ძველი სამეცნიერო–საკვლევი მეურნეობა, მისი უძრავ–მოძრავი ქონება კი, ნაციონალებმა ერთმანეთში დაინაწილეს გარკვეული ნაწილი კი, არაბებს მიჰყიდეს...

ორი ყველაზე დიდი ქიზიყელი

უკანასკნელი ორი საუკუნის მონაკვეთში ქიზიყმა ორი დიდი კაცი მისცა ერს და ქვეყანას – სოლომონ დოდაშვილი და ნიკო ფიროსმანიშვილი: პირველი ეს დიდი ერისკაცია, რომელმაც სათავე დაუდო ახალ ეპოქას ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში – მის შეგნებულ და პროგრამულ ხასიათს, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ახლებურ ხედვას და გააზრებას...

მეორე კი, ერისა და ქვეყნის ის „ზოგად–კაცია“, რომელმაც თავისი გენიით მსოფლიოს აჩვენა ქართული ხელოვნების უკვდავება, მისი ზოგად–კაცობრიული არსი და მნიშვნელობა. ორივეს ცხოვრება ტრაგიზმით არის სავსე, მაგრამ ეს ხორციელად, სულით კი, ორივე უტეხნი, **„მედგარნი, მებრძოლნი, შემართებულნი“** იყვნენ, როგორც ეს ეკადრებოდათ „უბატონო ქვეყნის“ შვილთ...

ადრეც ვთქვი, რომ შემდეგში მათ ცალკ–ცალკე მონოგრაფიები მიეძღვნება, მაგრამ ესეც მინდა ვთქვა: მათ გარდა, მადლობა ღმერთს, „დიდბუნებოვანნი კაცნი“ არასოდეს მოჰკლებია ქიზიყს. აქ ჩამოთვლას არ შევუდგები, თუმცა ამ გრძელი სიიდან მარტო ბაღაშვილებს ორი გამორჩეული კაცი ჰყავს – პაატა ბაღაშვილი და სპარტაკ ბაღაშვილი: პირველი ბოდბის და მთელი ქიზიყის დიდი კოლორიტი იყო ერეკლე მეფის დროს, მეფეს რომ ზარბაზნების დადგმის უფლება არ მისცა სოფელში – ხალხის სარჩენი გახდება და შეწუხდებიანო, ურჩია – შენს მამულში, ხორნაბუჯის ციხესთან დააყენე ჯარიც და ზარბაზნებიც, ბოდბეზე მეტად იქ უფრო უპრიანიაო, (ერეკლემაც გაუგონა – აი, თვითმართველობაც სწორედ ასეთი უნდა!).

მეორე ბაღაშვილი კი, თავისი დროის ქართული კინოხელოვნების ერთ–ერთი გამორჩეული ვარსკვლავია. აკაკი ვასაძის გადმოცემით, როდესაც 1946 წელს ქართველი მსახიობები სტალინმა სოჭში მიიღო, სპარტაკ ბაღაშვილს სუფრაზე სტალინის დღეგრძელობისას ვერაფრით ათქმევინეს „ამხანაგო სტალინ“. მეორე დღეს კი, სუფრაზე საერთოდ აღარ მივიდა, შეუძლოდ ვარო შემოუთვალათ... ეს კი იმ დროს, როცა ომის შემდეგ სტალინი ზენიტში იყო და ლამის მთელი ევროპა და მსოფლიო ფეხქვეშ ეფინებოდა, სპარტაკ ბაღაშვილმა კი, ქიზიყურად „ქისი ჰკრა“...

ქიზიყს კოლორიტები სხვებიც არაერთი ჰყოლია (იოანე ხელაშვილი, გაიოზ რექტორი, „მიწის მგელი“ – ზაქარია ანდრონიკაშვილი, ეროდიონ ევდოშვილი, სანდრო ახმეტელი, ალექსანდრე ალადაშვილი, შალვა პაპუაშვილი,

სიკო ფაშალიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, მიხა ჭუჭულაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი ქიზიყელი რაზმელები, იგივე სოლომონ დოდაშვილის მეოთხე თაობა – მიხეილ დოდაშვილის მეთაურობით, პირველებმა რომ შეუტიეს საბჭოთა რეჟიმს, საბჭოეთის ჟამს კი ტყეში გავარდნილი, ანდა, საზღვარგარეთ გაქცეული არაერთი ქიზიყელი), მაგრამ ყველასაგან გამორჩეულად დგას ეს ორი კაცი – სოლომონ დოდაშვილი და ნიკო ფიროსმანაშვილი.

მათზე, თუ ღმერთმა ინება, მომავალში მათ საკადრისს ფსიქოლოგიურ ნოველას შევქმნი აუცილებლად. ვფიქრობ ამით გარკვეულად შეივსება **„უახლესი ქართლის ცხოვრების“** ეს ჩანაფიქრიც. ამჯერად კი მინდა მკითხელს შევთავაზო ორი დიდი ქიზიყელის ჩემეული პოეტური გააზრება და აღქმა:

სოლომონ დოდაშვილს

შენ გაშინებდნენ – „გაგაციმბირებენ!“...
შენ პასუხობდი – არა უშავს – რა,
მზე და მთვარე იქაც ამოვა, –
მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!

შენ მართლაც მალე „გაგაციმბირეს“,
მზე და მთვარე მართლაც,
იქაც ამოდიოდა,
მართალია არა ისეთი
ლაღად სხივმფენი,
როგორც აქ, ჩვენთან,
ალაზნის ველზე,
მაგრამ მაინც ამოდიოდა
მზეცა და მთვარეც
ყინულის ველზეც...

და შენ კვლავ იქაც
ქიზიყური სიჯიუტით იმეორებდი, –
– არა უშავს–რა,
მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!

ვიატკაში ყოფნის დროს დოდაშვილთან დაკავშირებული არაერთი მასალა მოვიპოვე, მათ შორის დოკუმენტურიც მისი და აქვე გადმოსახლებული გერცენის არცთუ სასიამოვნო ურთიერთობების ირგვლივ, დოდაშვილის ცოლის – ელენე კობიაშვილის თავგანწირვაზე გადაერჩინა და სამშობლოში დაებრუნებინა მისი და სოლომონის შვილები, დოდაშვილის წერილები თავის „სულიერ მამასთან“ იოანე ხელაშვილთან, სამშობლო მხარის ბედ–იღბლისა და ალაზნის ველის

მონატრებით გაჟღენთილნი... ყველაფერი ეს აისახება განზრახულ მონოგრაფიაში...

ეს ღვაწლი კი დიდია მისი: პირველად მან, რუსეთში გადასახლებულ ერეკლე მეფის შვილიშვილთან, ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად, სათავე დაუდო დიდ იდეას ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე დაფუძნების შესახებ. ეს იდეა გაჟღერდა 1829 წელს მცხეთაში შეთქმულთა **„საიდუმლო სერობაზე“. „ინგლისის მსგავსი საქართველოს ორპალატიან პარლამენტზე დამყარებული ერთგვარი რესპუბლიკა“** – ასეთია შეთქმულთა პროგრამის მთავარი პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც სამომავლოდაც არ კარგავს ძალას...

დოდაშვილს ევალებოდა ისიც, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, კახეთიდან თბილისში უნდა ჩამოეყვანა შეიარაღებული რაზმები აჯანყების დაწყების წინ. ეს რაზმები უნდა შეერთებოდნენ ქართლიდან მოსულ რაზმებს, რათა ერთობლივად შეეტიათ არსენალისთვის. შეკრების ადგილად დაინიშნა სამგორისა და ორხევის მიდამოები. მაგრამ ამჯერადაც, ისე როგორც საქართველოს ისტორიის მთელი ძნელბედობის ჟამს, ციხე შიგნიდან გატყდა... ისე კი, კარგი იქნება, თუ ამ ადგილებში სადმე შეიქმნება შეთქმულთა მემორიალი, რაც ვფიქრობ, ტურიზმის დიდი ობიექტიც შეიძლება გახდეს მომავალში...

რაც შეეხება ნიკო ფიროსმანიშვილს, მასაც არანაკლები ტრაგიკული ბედი ერგო წილად მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, დოდაშვილივით ტრაგიკულად აღესრულა, მაგრამ შორეული ვიატკის ნაცვლად, აქ, ჩვენთან, თავისსავე სამშობლოში ყველასაგან მიტოვებული, უპატრონოთა სასაფლაოზე უპატრონოდ დაკრძალული:

ნიკალას

სარდაფში ბნელა,
როგორც საფლავში,
მზეც გემალება...
ჭიქა არაყიც
ძველებურად
კვლავ გენატრება...
ვიღაც ახსოვხარ!
მარტოსული ხარ!...
დუქნებში ახლა
შენს ნახატებთან
ყანწს ყანწზე სცლიან,
შენთან კი ცივა,
ძალიან ცივა...

და ცივ სარდაფში
ნატრულობ არაყს,
საფლავის კართან
ერთ ჭიქა არაყს...
და ეს საფლავიც,
როგორც სარდაფიც,
ლანდების მსგავსად,
უკვალოდ გაქრა...
შენს ძვლებს კი ახლა
ვეძებთ და ვეძებთ,
კუკიაზე თუ
პეტრე–პავლეზე...
მაგრამ რას იზამ,
ჩემო ნიკალა, –
ასეთად დავრჩით
„ბედნიერი ერის“
დღევანდელი ნაშიერებიც...
ასეთი არის
გენიის ბედიც:
ძალიან გვიან,
ძალიან გვიან
თუ გვახსენდებით...

ღვთით მოვლენილი „დიდბუნებოვანი კაცი“, ილიას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, – „განწირულია წამებით სიკვდილისათვის“. წლები, ხშირად ათწლეულები და ასწლეულები სჭირდება ხოლმე, ამ მისი „დიდბუნებოვანი კაცობის“ აღსაქმელად. ამას კი ხშირად ხალხის კოლექტიური ხსოვნა ახდენს მერე და მერე, ისე როგორც დავით აღმაშენებელი მაშინვე კი არა, მხოლოდ 400 წლის შემდეგ გახდა „აღმაშენებელი“. ჩვენი ხალხის გენიით შექმნილმა ამ საოცრებამაც – „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, ვინ იცის რამდენი საუკუნე გამოიარა მის საყოველთაო აღიარებამდე.

სწორედ რომ ჩვენი დალოცვილი ფოლკლორი, ხალხის კოლექტიური თუ ინდივიდუალური გონი და სიბრძნე არის ხოლმე წყარო ამ აღიარებისა თაობიდან თაობაში გადასაცემად ლეგენდებით და პოეზიით. პოეზია კი, ისეთი რამ გახლავთ, ისეთი ნიჭი ხალხისა თუ კაცისა, რომელიც, როგორც ღვთით ჩაგონებული რამ, მარადიული ღირებულებაა. პოეზიის ასეთი განცდა და აღქმაა ამ სტროფშიც:

პოეზია ცით გახსნაა აზრისა,
ნათელხილვა სიტყვის პირველადისა,
მიღმურობის ნიჭი არის კაცისა,
განკითხვაა მისი ცოდვა–მადლისა,
– ღვთით გახსნაა სულისაც და აზრისაც...

ივანე ჯავახიშვილმა თავის ერთ–ერთ გამორჩეულ ასპირანტს გიორგი გოზალიშვილს დაავალა ქიზიყის ფოლკლორის შესწავლა, მასალების შეგროვება და ანალიზი. მათი განსაკუთრებული ინტერესი გახდა კახეთის 1812–13 წლების აჯანყება და 1832 წლების შეთქმულება. აქ გამოიკვეთა სოლომონ დორდაშვილის, ოქროპირ და ალექსანდრე ბატონიშვილების ღვაწლი ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში, შემდეგში გიორგი გოზალიშვილი ჩემი ლექტორიც გახდა თსუ ისტორიის ფაკულტეტზე და მისი თხოვნა იყო, რომ ახალ თაობებს გაგვეგრძელებინა დიდი ივანეს მიერ დაწყებული საქმე. ეს ჩემეული ციკლიც ამის გამოძახილია...

დასკვნის მაგიერ

ესეც ისტორიის პარადოქსია, რომ „უბატონო ქვეყანას“ და მის მიწა–წყალს დღეს ათასი შინაური თუ გარეული ბატონი დაეპატრონა: ირანელები, თურქები, არაბები, თვით შორეული ინდოეთიდან და ჩინეთიდან მოსულნი სარგებლობენ მისი ბარაქით, უფულოდ დარჩენილ ქიზიყელებს კი, თავიანთი ერთი ჰექტარი მიწის ნაგლეჯი დაუხნავ–დაუთესავი რჩებათ. ყველას ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ჩვენი მიწა–წყლის პატრონს სარჩო–საბადებელის პრობლემა რატომ უნდა ჰქონდეს?!...

„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია... უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, იმათი საცხოვრისია“, წერდა ილია და ყველას მოუწოდებდა თვითონ მოეარათ და ეპატრონათ ღვთისგან ბოძებული ამ სამოთხისებური მიწა–წყლისათვის, სადაც – „ჩიტის რძეს რომ იტყვიან, იმასაც მოიპოვებ კაცი, ოღონდ თავი და ხელი გასძარ“. 1897 წლის 31 დეკემბერს საახალწლოდ დაწერილ „ივერიის“ ამავე სარედაქციო წერილში – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, ერთი მეტად საგულისხმო თეზაა, შემდგომი თაობებისთვის ანდერძად თქმული:

„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით... ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან თვალი აგვიხილე, რომ ჩვენმა შემდგომმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ“.

მართლაც, რომ მისებურად დიდი სიმართლით, აზრით და ემოციური ძალით დაწერილი სიტყვებია, თუ რა თქმა უნდა მოვუსმენთ მას. აქ მინდა

მოვიყვანო ერთი სტროფიც პოემიდან – „მეფე დიმიტრი თავდადებული“. მე ამ სტროფს ხშირად ვხმარობ, რამეთუ ისიც პოეზიის ენით გადმოცემული ილიას თავისებური ანდერძი და მოწოდებაა ჩვენთვის:

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

„გზად და ხიდად გადებას“ გვთხოვს ჩვენი წარსულის „ძნელბედობებიდან“ ახალი საქართველოს ახალი „ოქროს ხანისკენ“ და ვინძლო ახლა მაინც, არ დარჩეს ილიას ეს ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

ესეც ალბათ, ბევრს გაგიგიათ ჩვენს დღევანდელ ყოფაში – რა გვეშველება?. ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: საშველი ერთია – ილია მართალის მართალი სიტყვა და მართალი საქმე...

სარჩევი

I. ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრებიდან“ ... 1

1. ქიზიყი და ქიზიყელები 1

2. „კაცნი მაგარნი“... 3

3. ძველი და ახალი „თეთრი ლაქები“ 6

4. „ველს მშვენიერსა ჩასცინებოდა“... 7

5. ილია და დიმიტრი მაჩხანელი:
სოფელი რა არის და ერთი კაციაო... 10

6. ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია:
ეროვნულ და რეგიონალურ ეკონომიკათა დიალექტიკა 13

7. „ივრისპირეთი – ჩვენი დიდი ტკივილი“ 15

8. ივანე ჯავახიშვილი და ქიზიყი:
„შირაქი – საქართველოს პურის ბეღელი“ 16

9. ორი ყველაზე დიდი ქიზიყელი 19

10. დასკვნის მაგიერ 23